დანართიN1

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

,,ახალგაზრდული საბჭო“ (ტექსტში შემდგომ - „საბჭო”) - წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომლის მიზანია ახალგაზრდული საზოგადოებრივი აზრის გაზიარება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის მათ მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში გათვალისწინების მიზნით, ასევე წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და მონაწილეობა ახალგაზრდული პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში.

მუხლი 2. საბჭოს მიზნები და ამოცანები

1. ახალგაზრდების ინკლუზია საზოგადოებრივ/პოლიტიკურ ცხოვრებაში.
2. რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება ახალგაზრდების თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის კუთხით და მათი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენა.
3. ცალკეული ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების ხელშეწყობა განათლების, კულტურის, სპორტისა და სხვა სფეროებში.

მუხლი 3. საბჭოს უფლება-მოვალეობანი

საბჭო უფლებამოსილია:

ა) მოამზადოს წინადადებები ახალგაზრდული საზოგადოებრივი ინიციატივების შესახებ და რეკომენდაციის სახით წარუდგინოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს;

ბ) დაამყაროს კომუნიკაცია და ითანამშრომლოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) განახორციელოს სხვადასხვა სახის აქტივობები ახალგაზრდული კუთხით არსებული პრობლემების გამოსავლენად და გადასაჭრელად;

დ) ითანამშრომლოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებთან;

ე) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა აქტივობები.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭო შედგება სათათბირო ხმის უფლების მქონე 10(ათი) წევრისგან.
2. საქმიანობის კოორდინაციისათვის, საბჭო თავის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს.
3. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს, ხელს აწერს საბჭოს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს საბჭოს სახელით.
4. საბჭოს ჰყავს სამდივნო, რომელიც იქმნება საბჭოს მუშაობისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად.
5. სამდივნოს ხელმძღვანელობს საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე.
6. საბჭოს მუშაობაში მოწვევით შეიძლება მონაწილეობდნენ ის პირები, რომლებიც არ არიან საბჭოს წევრები.
7. საბჭო იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 5. საბჭოს წევრობა

1. საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს 14 – 29 წლის ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც იზიარებს საბჭოს მიზნებს, ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის ნებისმიერი მოსწავლე.
2. საბჭოს წევრობის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს საბჭოს თავმჯდომარეს.
3. წევრი აირჩევა 1 წლის ვადით, ღია კონკურსის წესით, სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების საფუძველზე.
4. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:
   ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
   ბ) უფლებამოსილების 1 წლიანი ვადის გასვლისას (გარდა საბჭოს პირველი შემადგენლობის ხუთი წევრისა);
   გ) არასაპატიო მიზეზით, საბჭოს მუშაობაში ხანგრძლივად (3თვე), მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში;
5. საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარი განახლდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ. პირველი როტაცია ჩატარდება საბჭოს დაფუძნებიდან ექვსი თვის თავზე. საბჭოს შემადგენლობას დატოვებს 5 წევრი ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

მუხლი 6. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

1. საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში, უშუალოდ ან დისტანციურად;
ბ) წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე;
გ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაში.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საბჭოს დებულება და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
ბ) არ გაახმაუროს საბჭოს წევრობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
გ) რეგულარულად დაესწროს საბჭოს სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში.

3. საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ან ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას.

მუხლი 7. საბჭოს ასოცირებული წევრი

1. სურვილის შემთხვევაში, დებულებით დადგენილი წესით ნებისმიერ 14 – 29 წლის ახალგაზრდას შეუძლია განცხადებით მიმართოს საბჭოს და გახდეს საბჭოს ასოცირებული წევრი.
2. ასოცირებული წევრობისთვის საჭიროა მსურველის განცხადება და საბჭოს მინიმუმ ერთი წევრის რეკომენდაცია.
3. საბჭოს ასოცირებული წევრი უფლებამოსილია დაესწროს საბჭოს სხდომებს და მონაწილება მიიღოს საბჭოს მიერ დაგეგმილ აქტივობებში.

მუხლი 8. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს გადაწყვეტილებით თვეში ერთხელ მაინც. საბჭოს სხდომა შესაძლოა გაიმართოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოწვევითაც. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია წევრთა 2/3-ის დასწრების შემთხვევაში.

2. საბჭოს გააჩნია თავისი სამოქმედო გეგმა, რომელსაც მერთან შეთანხმებით ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭო საქმიანობას წარმართავს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.
3. საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები.
4. საბჭო წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს.
5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.
6. მერთან შეთანხმებით, თვეში ერთხელ მაინც საბჭო ხვდება მერს ან მისი არყოფნის შემთხვევაში მერის ერთ-ერთ მოადგილეს და ერთობლივად განიხილება საბჭოს მიერ მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები, წარმოჩნდება საბჭოს მიერ შესწავლილი და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული პრობლემები და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზები, იგეგმება ერთობლივი აქტივობები.

მუხლი 9. საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხები

1. საბჭო განიხილავს:

   ა) საბჭოს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს;

   ბ) სხვადასხვა ახალგაზრდული გაერთიანების და კერძო პირების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს, პროექტებს, პროგრამებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდების გააქტიურებასთან და მათ ჩართულობასთან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში;

   გ) საბჭოს ასოცირებული წევრების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს.
2. საბჭოს სხდომაზე განსახილველ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებითი ბარათი, სადაც მოკლედ და გასაგებად იქნება ჩამოყალიბებული წინადადებების მიზანი და შესაბამისობა საბჭოს საქმიანობასთან, განხორციელების გეგმა, საჭირო რესურსები და მოსალოდნელი შედეგები.

მუხლი 10. ფინანსები და სხვა შემოსავლები

საბჭოს დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს შემოწირულობებით, გრანტებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებადართული შემოსავლებით, რომლებიც მართლზომიერად უნდა იქნას გამოყენებული საბჭოს ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად და მიმართული უნდა იყოს საბჭოს მიზნების შესრულებისკენ.

მუხლი 11.გარდამავალი დებულებები

საბჭოს პირველი შემადგენლობა შეირჩევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების გარეშე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე.

მუხლი 12. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

საბჭოს უფლებამოსილება უწყდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი13. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ინიცირებით, საბჭოს გადაწყვეტილების ან მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიმართვის საფუძველზე.